

ურთიერთგაგების მემორანდუმი

საქართველოს მთავრობას,

შპს “ენერჯი სოლუშენს-ნატანები”,

და

სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორს“

შორის

თარიღი: 23 ივნისი, 2015.

თბილისი, საქართველო

წარმოდგენილი ურთიერთგაგების მემორანდუმი (შემდგომში „მემორანდუმი“) დადებულია შემდეგ მხარეებს შორის:

საქართველოს მთავრობა (შემდგომში „მთავრობა“), წარმოდგენილი საქართველოს ენერჯეტიკის მინისტრის კახა კალაძის მიერ;

შპს „ენერჯი სოლუშენს-ნატანები“, ს/კ: 405059626 (შემდგომში „კომპანია“), წარმოდგენილი დირექტორის გიორგი აბრამიშვილის მიერ;

სს „ელექტროენერჯეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორი“ (შემდგომში „ესკო“), წარმოდგენილი გენერალური დირექტორის ვახტანგ ამბოკაძის მიერ;

დებენ წინამდებარე მემორანდუმს შემდეგზე:

განმარტებები

1. წინამდებარე მემორანდუმში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:
 - 1.1. „ხელშეკრულება“ ნიშნავს მემორანდუმის დანართი N4-ით განსაზღვრულ დოკუმენტს.
 - 1.2. „საშენებლო ფაზა“ ნიშნავს დროის პერიოდს ხელშეკრულების გაფორმებიდან ელექტროსადგურის ექსპლუატაციაში მიღებამდე, რა პერიოდშიც კომპანია ვალდებულია განახორციელოს საშენებლო საქმიანობა, მაგრამ არაუმეტეს მემორანდუმის დანართი N3-ით განსაზღვრული საშენებლო ფაზის ვადისა.
 - 1.3. „საშენებლო გარანტია“ ნიშნავს საშენებლო ფაზის ფარგლებში კომპანიის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით წარმოდგენილ საბანკო გარანტიას.
 - 1.4. „დღე/დღეები“ ნიშნავს კალენდალურ დღეებს.
 - 1.5. „ელექტროსადგური“ ნიშნავს ჰიდროელექტროსადგურს, რომელიც განმარტებულია მემორანდუმის დანართი N1-ით.
 - 1.6. „ელექტროენერჯის გარანტირებული შესყიდვის ხელშეკრულება“ ნიშნავს პირდაპირ ხელშეკრულებას, რომელიც მემორანდუმის შესაბამისად იდება კომპანიასა და „ესკო“-ს შორის.
 - 1.7. „საინვესტიციო ხარჯი“ ნიშნავს მემორანდუმის შეწყვეტამდე პროექტის განხორციელებისათვის გაწეულ ხარჯს, მათ შორის მშენებლობის ხარჯებს, საექსპლუატაციო ხარჯებს და პროექტის ფარგლებში გაწეულ სხვა ხარჯებს.
 - 1.8. „სამინისტრო“ ნიშნავს საქართველოს ენერჯეტიკის სამინისტროს.
 - 1.9. „წინასაშენებლო ფაზა“ ნიშნავს დროის პერიოდს წინამდებარე მემორანდუმის ძალაში შესვლიდან საშენებლო ფაზის დაწყებამდე, რა პერიოდშიც კომპანია ვალდებულია განახორციელოს წინასაშენებლო საქმიანობა, მაგრამ არაუმეტეს მემორანდუმის დანართი N3-ით განსაზღვრული წინასაშენებლო ფაზის ვადისა.
 - 1.10. „წინასაშენებლო გარანტია“ ნიშნავს წინასაშენებლო ფაზის ფარგლებში კომპანიის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით წარმოდგენილ საბანკო გარანტიას.
 - 1.11. „მხარეები“ ნიშნავს მთავრობას, კომპანიას და „ესკო“-ს ერთობლივად.
 - 1.12. „ძირითადი მხარეები“ ნიშნავს მთავრობასა და კომპანიას.
 - 1.13. „პროექტი“ ნიშნავს ტექნიკურ-ეკონომიკური განხორციელებადობის კვლევის, გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანალიზის მომზადებას და მემორანდუმის დანართი N1-ით განსაზღვრული ელექტროსადგურის მშენებლობას, ფლობასა და ოპერირებას.
 - 1.14. „სახელმწიფო“ ნიშნავს საქართველოს.

- 1.15. „ელექტროსადგურის ტექნიკური პარამეტრები“ ნიშნავს ელექტროსადგურის ადგილმდებარეობას, მდინარის ნიშნულებს, დადგმულ სიმძლავრეს და წლიურ გამომუშავებას, როგორც მოცემულია მემორანდუმის დანართი N1-ში.
- 1.16. „ტექნიკურ-ეკონომიკური განხორციელებადობის კვლევა“ ნიშნავს კომპანიის მიერ მოსამზადებელ კვლევას/ანგარიშს, რომელიც უნდა შეიცავდეს მემორანდუმის დანართ N2-ით განსაზღვრულ დოკუმენტებს და რომელიც უნდა ადასტურებდეს პროექტის განხორციელების ტექნიკურ, ეკონომიკურ, ფინანსურ და იურიდიულ მიზანშეწონილობას.

მიზანი

2. მემორანდუმის მიზანს წარმოადგენს კომპანიის მიერ, საკუთარი სახსრებით, მშენებლობა, ფლობა, ოპერირების პრინციპის საფუძველზე პროექტის განხორციელება საქართველოს კანონმდებლობისა და ამ მემორანდუმით განსაზღვრული პირობების შესაბამისად.

წინასამშენებლო ფაზა

3. კომპანია წინასამშენებლო ფაზის განმავლობაში მემორანდუმის დანართ N1, N2 და N3-ში განსაზღვრული ვადებისა და პირობების შესაბამისად ვალდებულია:
 - 3.1. განსაზღვროს პროექტისათვის საჭირო ან/და მისი ზემოქმედების ქვეშ მოქცეული მიწის ნაკვეთები და მათი ადგილმდებარეობა;
 - 3.2. ჩაატაროს და დაასრულოს სრული ტექნიკურ-ეკონომიკური განხორციელებადობის კვლევა მემორანდუმის დანართი N2-ით განსაზღვრულ ვადებში (მემორანდუმით განსაზღვრული ელექტროსადგურის ტექნიკური პარამეტრების ფარგლებში), და წარუდგინოს ის სამინისტროს;
 - 3.3. დაასრულოს გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში და წარუდგინოს ის საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს და სამინისტროს;
 - 3.4. ჩაატაროს საჯარო განხილვები და წარუდგინოს შედეგები საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს და სამინისტროს
 - 3.5. სამინისტროს წარუდგინოს მთავრობისთვის წარსადგენი წინადადება ელექტროსადგურის მშენებლობის თაობაზე მემორანდუმით განსაზღვრული ელექტროსადგურის ტექნიკური პარამეტრების ფარგლებში.
4. იმ შემთხვევაში, თუ კომპანია მემორანდუმის მე-3 მუხლის 3.1-3.5 პუნქტებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულების შედეგად გადაწყვეტს ელექტროსადგურის მშენებლობას, მან მთავრობას უნდა წარუდგინოს წინადადება დანართი N2-ით განსაზღვრულ ვადაში, რომელიც უნდა შეიცავდეს შემდეგს:
 - 4.1. კომპანიის გადაწყვეტილებას შესაბამისი ელექტროსადგურის მშენებლობაზე;
 - 4.2. სრულ ტექნიკურ პარამეტრებს, ელექტროსადგურის დადგმული სიმძლავრისა და წლიური გამომუშავების ჩათვლით;
 - 4.3. ელექტროსადგურის განლაგების ზუსტ კოორდინატებს და მდინარის ნიშნულებს;
 - 4.4. პროექტის განხორციელებისათვის საჭირო ინვესტიციის სავარაუდო ოდენობას;
 - 4.5. სრულ ტექნიკურ-ეკონომიკური განხორციელებადობის კვლევას;
 - 4.6. გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშს (საჯარო განხილვების შედეგებით).
5. თუ ტექნიკურ-ეკონომიკური განხორციელებადობის კვლევის შედეგების ან/და გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის საფუძველზე აღმოჩნდება, რომ

ელექტროსადგურის მშენებლობა და ოპერირება კომპანიისათვის ტექნიკურად ან/და ეკონომიკურად არ არის მიზანშეწონილი, კომპანია საკუთარი შეხედულებისამებრ მიიღებს გადაწყვეტილებას პროექტის განხორციელების თაობაზე და შესაბამის შეტყობინებას წარუდგენს მთავრობას, მისთვის მემორანდუმის მე-4 მუხლით გათვალისწინებული შეთავაზების წარდგენამდე.

6. კომპანიის მიერ წინადადების წარდგენიდან არაუგვიანეს 3 თვეში მთავრობამ უნდა განიხილოს და მიიღოს გადაწყვეტილება ელექტროსადგურის მშენებლობასთან დაკავშირებით. აღნიშნული გადაწყვეტილება უნდა ეყრდნობოდეს მხოლოდ გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის ან/და საჯარო განხილვების შედეგებს. თუ მთავრობის გადაწყვეტილება დადებითია, ძირითადი მხარეები მთავრობის მიერ გადაწყვეტილების მიღებიდან 1 თვის ვადაში ხელს აწერენ ხელშეკრულებას. უარყოფითი გადაწყვეტილების შემთხვევაში, მთავრობამ კომპანიას უნდა დაუბრუნოს დარჩენილი წინასამშენებლო გარანტია 30 დღის განმავლობაში.

7. წინასამშენებლო გარანტია

7.1. წინასამშენებლო ფაზის ფარგლებში კომპანიის ვალდებულებების, მათ შორის ტექნიკურ-ეკონომიკური განხორციელებადობის კვლევისა და გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის, შესრულების უზრუნველყოფის მიზნით კომპანიამ მთავრობის სასარგებლოდ წარადგინა საბანკო გარანტია 37 500 (ოცდაჩვიდმეტი ათას ხუთასი) აშშ დოლარის ოდენობით. კომპანიის მიერ წარმოდგენილი წინასამშენებლო გარანტიის მოქმედების ვადა სამშენებლო ფაზის დაწყების თარიღს 2 თვით უნდა აღემატებოდეს.

7.2. მთავრობა უფლებამოსილია წინასამშენებლო გარანტიით გათვალისწინებული თანხა გამოითხოვოს სრულად ან ნაწილობრივ შემდეგ შემთხვევებში, თუ:

- ა) კომპანიამ დაარღვია მემორანდუმის დანართი N2-ით განსაზღვრული გრაფიკი ჯამში 15 დღეზე მეტი ვადით - წინასამშენებლო გარანტიის 50%-ის ოდენობით;
- ბ) კომპანიამ დაარღვია მემორანდუმის დანართი N2-ით განსაზღვრული გრაფიკი ჯამში 30 დღეზე მეტი ვადით - წინასამშენებლო გარანტიის სრული ოდენობით;

სამშენებლო ფაზა

8. კომპანია სამშენებლო ფაზის განმავლობაში ვალდებულია:

- 8.1. მოიპოვოს პროექტის განხორციელებისათვის საჭირო ან/და პროექტის არეალში მოქცეულ მიწის ნაკვეთებზე შესაბამისი უფლებები;
- 8.2. დაიწყოს ელექტროსადგურის მშენებლობა მშენებლობის ნებართვის საფუძველზე საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად მემორანდუმის დანართი N3-ით განსაზღვრულ ვადაში;
- 8.3. ააშენოს ელექტროსადგური მემორანდუმით განსაზღვრული ელექტროსადგურის ტექნიკური პარამეტრების ფარგლებში და უზრუნველყოს მისი ექსპლუატაციაში მიღება მემორანდუმის დანართი N3-ით განსაზღვრულ ვადაში;
- 8.4. უზრუნველყოს პროექტის ეფექტური განხორციელებისათვის საჭირო ფულადი სახსრების მოზიდვა;
- 8.5. უზრუნველყოს მშენებლობა საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული უსაფრთხოების, გარემოს დაცვის და სხვა სტანდარტების შესაბამისად;
- 8.6. კომპანია ვალდებულია სამშენებლო პროცესის მონიტორინგის მიზნით უზრუნველყოს საქართველოს მთავრობის, სამინისტროს, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს ან/და სხვა ნებისმიერი

უფლებამოსილი სახელმწიფო დაწესებულების სრული და თავისუფალი წევრმა პროექტის განხორციელების არეალზე;

- 8.7. უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოს მოთხოვნის შემთხვევაში, კომპანია ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს სამშენებლო მასალების ხარისხის და მშენებლობის უსაფრთხოების მონიტორინგი.
9. სამშენებლო გარანტია
- 9.1. სამშენებლო ფაზის უზრუნველყოფის მიზნით, კერძოდ, მემორანდუმის დანართი N3-ით განსაზღვრული მშენებლობის ნებართვის საფუძველზე ელექტროსადგურის მშენებლობის დაწყების და ექსპლუატაციაში მიღების უზრუნველსაყოფად, ხელშეკრულების ხელმოწერის დღეს კომპანიამ მთავრობის სასარგებლოდ უნდა წარმოადგინოს სამშენებლო გარანტია ასაშენებელი ელექტროსადგურის დადგმული სიმძლავრის მიხედვით, 100 მეგავატი სიმძლავრის ჩათვლით - ყოველი მეგავატისათვის 100 000 (ასი ათასი), ხოლო 100 მეგავატზე მეტი სიმძლავრის შემთხვევაში - ყოველი მეგავატისათვის 50 000 (ორმოცდაათი ათასი) აშშ დოლარის ან მისი ექვივალენტის ევროში ოდენობით. კომპანიის მიერ წარმოდგენილი სამშენებლო გარანტია ძალაში რჩება მემორანდუმის დანართი N3-ით განსაზღვრული ელექტროსადგურის ექსპლუატაციაში მიღების დღიდან 5 თვის განმავლობაში. კომპანიის მიერ წარმოდგენილი სამშენებლო გარანტია უნდა იყოს გაცემული სახელმწიფოს მიერ ლიცენზირებული ბანკის ან „ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის“ (OECD) წევრი ქვეყნის ბანკის მიერ. კომპანიას უზრუნველბა დარჩენილი წინასამშენებლო გარანტია, მის მიერ სამშენებლო გარანტიის წარდგენიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში.
- 9.2. კომპანიის მიერ მემორანდუმის დანართი N3-ით განსაზღვრული მშენებლობის ნებართვის საფუძველზე მშენებლობის დაწყების ვადის დარღვევა გამოიწვევს კომპანიის დაჯარიმებას ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის მთლიანი სამშენებლო გარანტიის 1.5%-ის ოდენობით. ამასთან, კომპანიამ დაკისრებული ჯარიმა უნდა გადაიხადოს სამინისტროსგან მოთხოვნის მიღებიდან 15 დღის განმავლობაში. კომპანიის მიერ დაკისრებული ჯარიმის გადახდის შემთხვევაში სამშენებლო გარანტია შემცირდება გადახდილი ჯარიმის ოდენობით.
- 9.3. კომპანიის მიერ მემორანდუმის დანართი N3-ით განსაზღვრული ელექტროსადგურის ექსპლუატაციაში მიღების ვადის დარღვევა გამოიწვევს კომპანიის დაჯარიმებას მთლიანი სამშენებლო გარანტიის 1.5%-ის ოდენობით ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის. ამასთან, კომპანიამ დაკისრებული ჯარიმა უნდა გადაიხადოს სამინისტროსგან მოთხოვნის მიღებიდან 15 დღის განმავლობაში. კომპანიის მიერ დაკისრებული ჯარიმის გადახდის შემთხვევაში სამშენებლო გარანტია შემცირდება გადახდილი ჯარიმის ოდენობით.
- 9.4. მთავრობა უფლებამოსილია სამშენებლო გარანტიით გათვალისწინებული თანხა გამოითხოვოს სრულად ან ნაწილობრივ შემდეგ შემთხვევებში, თუ:
- ა) კომპანია მემორანდუმის 9.2 და 9.3 მუხლების შესაბამისად დაკისრებული ჯარიმის გადახდაზე უარს აცხადებს - გადაუხდელი ჯარიმის ოდენობით.
 - ბ) მთავრობა მე-15 მუხლის შესაბამისად წყვეტს მემორანდუმს - სამშენებლო გარანტიის სრული მოცულობით.

ზოგადი დებულებები

10. ელექტროსადგურის ექსპლუატაციაში მიღებიდან ათი წლის განმავლობაში („საწყისი ექსპლუატაციის პერიოდი“), ყოველი წლის ზამთრის თვეებში (იანვარი, თებერვალი,

მარტი, ოქტომბერი, ნოემბერი და დეკემბერი („ზამთრის თვეები“)) ელექტროსადგურის ფაქტობრივი წლიური გამომუშავების 20 (ოცი)%-ის რეალიზაცია უნდა განხორციელდეს ექსკლუზიურად „ესკო“-ზე. ელექტროსადგურის მიერ გამოსამუშავებელი ელექტროენერჯის წლიური საპროგნოზო რაოდენობა აისახება შესაბამისი წლის ელექტროენერჯის (სიმძლავრის) ბალანსში ან სხვა ანალოგიური ხასიათის დოკუმენტში საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. თუ ელექტროსადგურის მიერ გამომუშავებული ელექტროენერჯია საწყისი ექსპლუატაციის პერიოდის ყოველი წლის ზამთრის პირველ თვეებში ელექტროენერჯის წლიური საპროგნოზო რაოდენობის 20 (ოცი)%-ზე ნაკლებია, მაშინ სხვაობა ფაქტობრივ გამომუშავებასა და ელექტროენერჯის წლიურ საპროგნოზო რაოდენობის 20 (ოცი)%-ს შორის მიეწოდება „ესკო“-ს ზამთრის შემდგომ თვეებში ან სხვა თვეებში, რომელსაც განსაზღვრავს „ესკო“. სხვაობა ელექტროსადგურის ფაქტობრივი წლიური გამომუშავების 20 (ოცი)%-სა და ელექტროსადგურის მიერ გამომუშავებული ელექტროენერჯის წლიური საპროგნოზო რაოდენობის 20 (ოცი)%-ს შორის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) უნდა იქნეს გათვალისწინებული მომდევნო წელს.

11. მემორანდუმის მე-10 მუხლის მიზნებისათვის, საწყისი ექსპლუატაციის პერიოდის ზამთრის თვეებში, კომპანია „ესკო“-სთან გაფორმებული ელექტროენერჯის გარანტირებული შესყიდვის ხელშეკრულების შესაბამისად ელექტროენერჯის რეალიზაციას განხორციელებს მიერთების წერტილში 4.28 (ოთხი მთელი ოცდარვა მესამედი) აშშ ცენტის ტარიფით. მემორანდუმის მე-10 მუხლში აღნიშნული საწყისი ექსპლუატაციის პერიოდის ზამთრის თვეების გარდა, წლის დანარჩენ პერიოდში, კომპანია უფლებამოსილია მისი შეხედულებისამებრ მოახდინოს გამომუშავებული ელექტროენერჯის რეალიზაცია და განხორციელოს ექსპორტი საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

შარეთა ვალდებულებები

12. პროექტის განხორციელების მიზნით, წინამდებარე მემორანდუმის და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, კომპანია ვალდებულია:
 - 12.1. უზრუნველყოს პროექტის განხორციელება;
 - 12.2. შეინარჩუნოს ელექტროსადგური ელექტროსადგურის ტექნიკური პარამეტრების ფარგლებში;
 - 12.3. უზრუნველყოს, რომ პროექტის განხორციელების პერიოდში, პროექტზე დასაქმებულთა სულ ცოტა 80% (მენეჯმენტის და ექსპერტების გარდა) იყოს საქართველოს მოქალაქე.
13. პროექტის განხორციელების მიზნით, წინამდებარე მემორანდუმის და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, მთავრობა თავისი კომპეტენციის ფარგლებში ვალდებულია:
 - 13.1. მაქსიმალურად დაეხმაროს კომპანიას პროექტის განხორციელების პროცესში, მათ შორის შესაბამისი დახმარება გაუწიოს საჭირო ნებართვებისა და ლიცენზიების გაცემასთან დაკავშირებით, იმ პირობით, რომ კომპანია სრულად დააკმაყოფილებს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ მოთხოვნებს;
 - 13.2. უზრუნველყოს პროექტის განხორციელებისთვის საჭირო სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების კომპანიისათვის საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად გადაცემა, იმ პირობით, რომ კომპანია სრულად

დააკმაყოფილებს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ მოთხოვნებს;

14. მემორანდუმის მე-13 მუხლით განსაზღვრული ვალდებულებების მთავრობის ან ნებისმიერი სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მიერ კანონმდებლობით დადგენილ ვადებში შეუსრულებლობის შედეგად კომპანიის მიერ მემორანდუმით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობა ჩაითვლება საპატიოდ.

მემორანდუმის გაუქმება

15. მთავრობა უფლებამოსილია ცალმხრივად, კომპანიისათვის გაგზავნილი შეტყობინების საფუძველზე შეწყვიტოს მემორანდუმი შემდეგ შემთხვევებში, თუ:
 - 15.1. კომპანია დაარღვევს დანართი N2-ით გათვალისწინებულ გრაფიკს და ეს დარღვევა გაგრძელდება ჯამში 30 დღეზე მეტი ვადით;
 - 15.2. მე-9 მუხლის 9.2 ან/და 9.3 პუნქტებით გათვალისწინებული ჯარიმის ოდენობა მიაღწევს თავდაპირველად წარმოდგენილი სამშენებლო გარანტიის ოდენობის 50%-ს ან მეტს;
 - 15.3. მთავრობის მიერ მემორანდუმის მე-4 მუხლის შესაბამისად დადებითი გადაწყვეტილების მიღების მიუხედავად, ხელი არ მოეწერა ხელშეკრულებას;
16. მთავრობის მიერ ამ მემორანდუმის მე-15 მუხლის შესაბამისად მემორანდუმის შეწყვეტა გამოიწვევს შემდეგს:
 - 16.1. სახელმწიფოს, მემორანდუმის შეწყვეტიდან 2 (ორი) თვის განმავლობაში, უსასყიდლოდ გადაეცემა უფლებები (მათ შორის საკუთრების უფლება) პროექტის განხორციელებისთვის საჭირო ან მისი ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ მიწის ნაკვეთებზე, რომლებიც გადაცემის მომენტისათვის უნდა იყოს უფლებრივად უნაკლო;
 - 16.2. კომპანიას ჩამოერთმევა პროექტის განხორციელების უფლება;
 - 16.3. კომპანიის ხელთ არსებულ ტექნიკურ-ეკონომიკური განხორციელებადობის კვლევასა და გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშზე, ისევე როგორც პროექტთან დაკავშირებულ ნებისმიერ დოკუმენტსა და ნახაზზე (მათ შორის კომპანიის მიერ შემუშავებულ დოკუმენტებზე) ექსკლუზიური საკუთრების უფლება უსასყიდლოდ გადაეცემა მთავრობას.
17. კომპანია უფლებამოსილია ცალმხრივად, მთავრობისთვის გაგზავნილი შეტყობინების საფუძველზე შეწყვიტოს მემორანდუმი შემდეგ შემთხვევებში, თუ:
 - 17.1. მთავრობა ვერ ასრულებს მემორანდუმის მე-13 მუხლით ნაკისრ ვალდებულებებს. აღნიშნულის თაობაზე მთავრობას უნდა გაეგზავნოს შეტყობინება ასეთი სახის შეწყვეტამდე 60 დღით ადრე;
 - 17.2. კომპანია იყენებს ამ მემორანდუმის მე-5 მუხლით გათვალისწინებულ უფლებას. აღნიშნულის თაობაზე მთავრობას უნდა გაეგზავნოს შეტყობინება ასეთი სახის შეწყვეტამდე 30 დღით ადრე;
18. კომპანიის მიერ ამ მემორანდუმის მე-17 მუხლის შესაბამისად მემორანდუმის შეწყვეტა გამოიწვევს შემდეგს:
 - 18.1. სახელმწიფოს, მის მიერ საინვესტიციო ხარჯის ანაზღაურებიდან 2 (ორი) თვის განმავლობაში, უსასყიდლოდ გადაეცემა უფლებები (მათ შორის საკუთრების უფლება) პროექტის განხორციელებისთვის საჭირო ან მისი ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ მიწის ნაკვეთებზე, რომლებიც გადაცემის მომენტისათვის უნდა იყოს უფლებრივად უნაკლო;
 - 18.2. კომპანიას ჩამოერთმევა პროექტის განხორციელების უფლება;

- 18.3. კომპანიის ხელთ არსებულ ტექნიკურ-ეკონომიკური განხორციელებადობის კვლევასა და გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშზე, ისევე როგორც პროექტთან დაკავშირებულ ნებისმიერ დოკუმენტსა და ნახაზზე (მათ შორის კომპანიის მიერ შემუშავებულ დოკუმენტებზე) ექსკლუზიური საკუთრების უფლება უსასყიდლოდ გადაეცემა მთავრობას;
- 18.4. კომპანია უფლებამოსილია მოითხოვოს და მიიღოს აუდიტირებული და დოკუმენტირებული საინვესტიციო ხარჯი მის მიერ მე-18 მუხლის 18.3 პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულებიდან 1 (ერთი) წლის განმავლობაში;
- 18.5. მთავრობამ კომპანიას უნდა დაუბრუნოს არსებული საბანკო გარანტია 15 დღის განმავლობაში.
- 19. მთავრობის ან კომპანიის მიერ ამ მემორანდუმის შეწყვეტა იწვევს მემორანდუმის ყველა მხარისათვის შეწყვეტას და შესაბამისად ელექტროენერჯის გარანტირებული შესყიდვის ხელშეკრულების შეწყვეტას.

მემორანდუმის ცვლილება

- 20. ცვლილებები
 - 20.1. წინამდებარე მემორანდუმის ცალკეული დებულება შეიძლება შეიცვალოს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე;
 - 20.2. იმ შემთხვევაში, თუ ტექნიკურ-ეკონომიკური განხორციელებადობის კვლევისა და გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის მომზადების შემდეგ შეიცვალა ელექტროსადგურის ტექნიკური პარამეტრები, კომპანიის მოთხოვნის საფუძველზე მთავრობა განიხილავს მემორანდუმში ცვლილებების შეტანის საკითხს;
 - 20.3. თუ მემორანდუმის ნებისმიერი დებულება გახდება ბათილი ან ძალადაკარგული, ეს არ იქონიებს გავლენას მემორანდუმის სხვა დებულებებზე.

მარეგულირებელი კანონმდებლობა და დავების მოგვარება

- 21. წინამდებარე მემორანდუმი რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.
- 22. ნებისმიერი დავა, რომელიც მშვიდობიანი გზით ვერ მოგვარდება მხარეებს შორის, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად წარედგინება საქართველოს საერთო სასამართლოებს.

ფორს-მაჟორი

- 23. ფორს-მაჟორი ნიშნავს ნებისმიერ მოვლენას, რომელიც ორივე მხარის გონივრული კონტროლის მიღმაა და მისი წარმოქმნის წინასწარ განჭვრეტა შეუძლებელი იყო მემორანდუმის დადების მომენტისათვის, მათ შორის: ომი, სამოქალაქო ომი, ინტერვენცია, შეიარაღებული კონფლიქტი, ტერორისტული აქტი, რადიაცია, ბიოლოგიური ან ქიმიური დაბინძურება, აფეთქება, ხანძარი, ეპიდემია, ციკლონი, მეწყერი, მეხი, მიწისძვრა, წყალდიდობა, ვულკანის ამოფრქვევა, სხვა სტიქიური უბედურება ან ნებისმიერი მსგავსი მოვლენა.

- 24. თუ რომელიმე მხარე მოექცევა წინა მუხლში აღნიშნულ ფორს-მაჟორულ გარემოებებში, მან დაუყოვნებლივ უნდა მიაწოდოს მეორე მხარეს ამის შესახებ

წერილობითი შეტყობინება. ამავე მხარემ უნდა წარუდგინოს მეორე მხარეს დეტალური ანგარიში, რომელიც შეიცავს ფორს-მაჟორის მიზეზებსა და შედეგებს.


25. თუ ფორს-მაჟორი ხელს შეუშლის ნებისმიერი მხარის მემორანდუმით გათვალისწინებული რომელიმე ვალდებულების ან მისი ნაწილის ჯეროვნად შესრულებას, იმ მხარეს, რომელიც ფორს-მაჟორზე მიუთითებს, ვალდებულებების შეუსრულებლობა ჩაეთვლება საპატიოდ ამ მოვლენის ზემოქმედების პროპორციულად და მეორე მხარეს არ იქნება უფლება შეწყვიტოს მემორანდუმი, თუ ამავე მემორანდუმით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

დამატებითი დებულებები

26. წინამდებარე მემორანდუმი ძალაში შედის მისი ხელმოწერის დღეს და ძალაშია მხარეთა მიერ ურთიერთვალდებულებების ამოწურვამდე.
27. წინამდებარე მემორანდუმი შედგენილია ქართულ ენაზე სამ თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად.


ხელმოწერები

საქართველოს მთავრობა



კახა კალაძე

შპს „ენერჯი სოლუშენს-ნატანები“



გიორგი აბრამიშვილის მინდობილი პირი - ნინო ხარებავა

სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორი“



ვგზტანგ ამოკავაძე

დანართი N1

დასახელება	ადგილმდებარეობა	მდინარის ნიშნული		წლიური გამომუშავება	სიმძლავრე
„ნატანები 2“	გურიის რეგიონი, მდინარე ნატანები	970	650	52.5 მლნ.კვტ.სთ.	7.5 მვტ.

დანართი N2

დანართი 2	თვეების რაოდენობა მემორანდუმის ხელმოწერის თარიღიდან		
	3	6	9
ჰიდროელექტროსადგურის დასახელება: "ნატანები 2"			
ადგილმდებარეობისა და ძირითადი პარამეტრების დაზუსტება	X		
ტოპოგრაფიული კვლევა და რუკების მომზადება	X	X	
გეოლოგია, გეოფიზიკა	X	X	X
სეისმური ანგარიში			X
სამშენებლო მასალების კვლევა		X	
მეტეოროლოგიური და ჰიდროლოგიური კვლევები	X	X	X
ჰიდრაულიკური კვლევები			X
ალტერნატივების ანალიზი			X
ტექნიკური დიზაინი			X
ინფრასტრუქტურა			X
ელექტროენერჯის წარმოება			X
ქსელთან მიერთება და გადამცემი ხაზი			X
სამუშაოების მოცულობის უწყისი			X
მშენებლობის ორგანიზაცია			X
ეკონომიკური ანალიზი			X
ფინანსური ანალიზი			X
შესყიდვების დაგეგმვა და განხორციელების გეგმა			X
მუშახელის მომზადების გრაფიკი			X
ტექნიკურ-ეკონომიკური ანგარიშის წარდგენა			X
გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის მომზადება			X
საჯარო განხილვის ჩატარება და შედეგების წარდგენა			X
პროექტის განხორციელებისათვის საჭირო მიწის ნაკვეთების ადგილმდებარეობის დადგენა და განსაზღვრა			X
პროექტის განხორციელების თაობაზე მთავრობისათვის წინადადების წარდგენა			X

დანართი N3

წინასამშენებლო ფაზა		სამშენებლო ფაზა		
დასაწყისი	დასასრული	დასაწყისი		დასასრული
მემორანდუმის ხელმოწერის თარიღი	ხელშეკრულების ხელმოწერის თარიღი	ხელშეკრულების ხელმოწერის თარიღი	მშენებლობის ნებართვის საფუძველზე მშენებლობის დაწყების თარიღი - 6 თვე ხელშეკრულების ხელმოწერიდან	ექსპლუატაციაში მიღება
13 თვე მემორანდუმის ხელმოწერიდან		30 თვე ხელშეკრულების ხელმოწერიდან		

დანართი N4

ხელშეკრულება

ქ. თბილისი

საქართველოს მთავრობა (შემდგომში: „მთავრობა“) წარმოდგენილი საქართველოს ენერჯეტიკის მინისტრის კახა კალაძის მიერ, და

შპს „ენერჯი სოლუშენს-ნატანები“, ს/კ: 405059626, (შემდგომში: „კომპანია“), წარმოდგენილი მისი დირექტორის გიორგი აბრამიშვილის მიერ;

ვინაიდან ძირითადად მხარეებმა, მემორანდუმის შესაბამისად კომპანიის მიერ მომზადებული და წარდგენილი ტექნიკურ-ეკონომიკური განხორციელებადობის კვლევის, გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანალიზისა და საჯარო განხილვის შედეგების საფუძველზე მიიღეს ერთობლივი გადაწყვეტილება მემორანდუმის დანართი N1-ით გათვალისწინებული ელექტროსადგურის მშენებლობის თაობაზე;

ვინაიდან კომპანიამ მემორანდუმის 9.1 მუხლის საფუძველზე მთავრობის სასარგებლოს წარმოადგინა საბანკო გარანტია;

აქედან გამომდინარე ძირითადი მხარეები დებენ წინამდებარე ხელშეკრულებას მშენებლობის ფაზის დაწყების მიზნით.

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის მომენტიდან.

ხელმოწერები:

სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი



56060091944415

საქართველო



სანოტარო მოქმედების დასახელება
რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N150443551



რეგისტრაციის თარიღი

04.05.2015 წ

ნოტარიუსი: დავით ოყროშიძე

მისამართი: ქ. თბილისი, ქეთევან წამებულის გამზ. 22/4

ტელეფონი: 995322745001

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება-გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ-გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

სანოტარო აქტი

საქართველო

ორი ათას თხუთმეტი წლის ოთხ მაისს, მე, დაეთ ოქროშიძეს, ნოტარიუსს ქ. თბილისში, რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს მისმართზე ქ. თბილისი ქუთეყან წამებულის გამს. №22/4, მომმართა ბატონმა გიორგი აბრამიშვილმა (დაბადებული 29.10.1977წ. თბილისში, პირადი №01010000236, მცხ: თბილისი, შ. ნუცუბიძის ფერდ III მ/რ, კორ. 2, ბ. 26), რომელიც წარმოადგენს შპს „ენერჯი სოლუშენს-ნატანები“-ს დირექტორს, თანახმად ამონაწერისა მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიული პირთა რეესტრიდან მომსადგების თარიღი 15.04.2015წ. (ელექტრონული ასლი) და საზოგადოების წესდებისა. მან მოითხოვა მინდობილობის შედგენა და სანოტარო წესით დამოწმება. ედასტურებ, რომ გიორგი აბრამიშვილის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონია. მე დავადგინე გიორგი აბრამიშვილის ნების გამოვლენის ნამდვილობა, დაერწმუნდი მის სერიოზულობაში, რის შემდგომაც შევადგინე წინამდებარე სანოტარო აქტის პროექტი, წაეუკითხე მას, განეუმარტე მისი შინაარსი და მასზე ხელის მოწერის სამართლებრივი შედეგები. გიორგი აბრამიშვილმა მკაფიოდ და ნათლად განაცხადა, რომ მინდობილობის შინაარსი ზუსტად გამოხატავს მის ნებას და ჩემი თანდასწრებით, პირადად მოაწერა ხელი წინამდებარე მინდობილობას:

მ ი ნ დ ო ბ ი ლ ო ბ ა

ორი ათას თხუთმეტი წლის ოთხ მაისს, შპს „ენერჯი სოლუშენს-ნატანები“-მ (რეესტრირებული 22.08.2014წ. საიდენტიფიკაციო №405059626; იურიდიული მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, ფალიაშვილის ქ. №6, ბინა №41), შემდგომში „მარწმუნებელი“ ან „კომპანია“, რომელსაც წარმოადგენს დირექტორი გიორგი აბრამიშვილი,

ნინო ხარებავას (დაბ. 26.09.1984წ. №/ნ 01010009759, მცხ: თბილისი, შ. ნუცუბიძის ფერდ IV მ/რ, კორ. II, ბ. 80), შემდგომში „რწმუნებელი“, მიანიჭა შემდეგი უფლებამოსილება:

1. „რწმუნებელი“ უფლებამოსილია წარმოადგინოს „მარწმუნებელი“ ყველა იმ უფლებამოსილებით, რაც „კომპანიის“ დირექტორის კომპეტენციაშია. მათ შორის, რწმუნებული უფლებამოსილია:

ა) წარმოადგინოს „კომპანია“ სასამართლო და ადმინისტრაციულ ორგანოებთან (მათ შორის სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოსთან), ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან ურთიერთობებში, აწარმოოს კომპანიის საქმე საქართველოს ყველა ინსტანციის საერთო სასამართლოში, აგრეთვე მონაწილეობა მიიღოს ნებისმიერ ადმინისტრაციულ წარმოებაში, რომლის მხარეს (დაინტერესებულ პირს) წარმოადგენს „კომპანია“.

ბ) წარმოადგინოს კომპანია საგადასახადო ორგანოებთან ურთიერთობებში, სსიპ შემოსავლების სამსახურში და მარწმუნებლის სახელით მონაწილეობა მიიღოს ნებისმიერი ადმინისტრაციულ წარმოებაში და შეასრულოს სხვა ნებისმიერი კანონმდებლობით გათვალისწინებული მოქმედება და პროცედურა, რაც გამომდინარეობს „მარწმუნებლის“ როგორც გადამხდელის საქმიანობასთან, წარადგინოს განცხადებები, დეკლარაციები, მიიღოს ცნობები და დოკუმენტაცია, ხელი მოაწეროს და ჩაიბაროს საგადასახადო შემოწმების აქტი, მარწმუნებლის სახელით აწარმოოს ურთიერთობა სსიპ შემოსავლების სამსახურთან, საზოგადოების საქმიანობასთან დაკავშირებულ სხვა ნებისმიერ საკითხზე სრული უფლებამოსილებით.

გ) მართოს და განკარგოს კომპანიის კუთვნილი ანგარიში, ნებისმიერ ბანკში (ფილიალსა და სერვის ცენტრში) და შესაბამისად მარწმუნებლის სახელით განახორციელოს ნებისმიერი ოპერაცია მინდობილ საბანკო ანგარიშთან, მათზე რიცხულ ფულად სახსრებთან დაკავშირებით, მათ შორის: გახსნას და დახუროს ანგარიშები, შეიტანოს და მიიღოს ფულადი სახსრები ნებისმიერ ვალუტაში მიუხედავად მათი ოდენობისა, განახორციელოს გადარიცხვები როგორც ქვეყნის შიგნით, ისე საზღვარგარეთ, განახორციელოს ვალუტის კონვერტაცია, აგრეთვე შეასრულოს სხვა საბანკო ოპერაციები, ხელი მოაწეროს ნებისმიერი სახის ხელშეკრულებას, თავად განსაზღვროს ხელშეკრულების პირობები, აგრეთვე შეასრულოს სხვა საბანკო ოპერაციები, რაც არ არის აკრძალული საქართველოს კანონმდებლობით, აქედან გამომდინარე ისარგებლოს შესაბამისი ხელმოწერის უფლებით, აგრეთვე შეასრულოს სხვა ნებისმიერი მოქმედება.

დ) ხელი მოაწეროს „კომპანიის“ საქმიანობასთან დაკავშირებულ ნებისმიერ დოკუმენტაციას.

ე) „კომპანიის“ სახელით მიიღოს გადაწვევტილებები და დადოს გარიგებები (მათ შორის გარიგებები უძრავი ქონების განკარგვის თაობაზე) „კომპანიის“ დირექტორის კომპეტენციის ფარგლებში, ხოლო „კომპანიის“ წესდებით გათვალისწინებულ შემთხვევებში - „კომპანიის“ პარტნიორის (პარტნიორთა კრების) მიერ მიღებული გადაწვევტილებების შესაბამისად.

ვ) შეასრულოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ყველა ის პროცედურა და მოქმედება, რაც აუცილებელია მარწმუნებლის ინტერესების დასაცავად.


2. რწმუნებული ვალდებულია წინამდებარე აქტით მინიჭებული უფლებამოსილება განახორციელოს კეთილსინდისიერად და ჯეროვნად. რწმუნებული ვალდებულია უფლებამოსილება განახორციელოს პირადად, ამასთან, საჭიროების შემთხვევაში, იგი უფლებამოსილია დამხმარე მიზნით, დაიქირაოს ადუოკატი (წარმომადგენელი) და გადასცეს მას შესაბამისი უფლებამოსილება რწმუნებულებით.

3. მინდობილობა ძალაშია ორიათასთხუთმეტი წლის ოცდათერთმეტი დეკემბრის ჩათვლით.


მინდობილობა შედგა 3 (სამი) თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ინახება ნოტარიუს დაეთ ოყროშიძის სანოტარო ბიუროში, ხოლო ორი გადაეცა მარწმუნებელს. მინდობილობის იმ ეგზემპლარს რომელიც რჩება სანოტარო ბიუროს არქივში თან ერთვის: 1. შპს „ენერჯი სოლუშენს-ნატანები“-ს ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიული პირთა რეესტრიდან; 2. შპს „ენერჯი სოლუშენს-ნატანები“-ს წესდება (მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიულ პირთა რეესტრიდან ამონაბეჭდი ასლი).

გადახდილია სანოტარო მოქმედების შესრულებისათვის სახდაური 10 (ათი) ლარი, თანახმად საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის №507 დადგენილების 31-ე მუხლისა, დღგ - 1,80 ლარი, თანახმად საგადასახადო კოდექსის 169-ე მუხლისა, აგრეთვე 2 ლარი - ელექტრონულ სანოტარო რეესტრში რეგისტრაციის საფასური, თანახმად საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის №507 დადგენილების 39-ე მუხლისა.

მარწმუნებელი



ნოტარიუსი





საქართველოს მთავრობის განკარგულება

№1199 2015 წლის 11 ივნისი ქ.თბილისი

საქართველოს მთავრობას, შპს „ენერჯი სოლუშენს-ნატანებსა“ და
სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორს“ შორის
დასადები ურთიერთგაგების მემორანდუმის თაობაზე


1. მოწონებულ იქნეს საქართველოს მთავრობას, შპს „ენერჯი სოლუშენს-ნატანებსა“ და სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორს“ შორის დასადები ურთიერთგაგების მემორანდუმის პროექტი.
2. მიღებულ იქნეს ცნობად საქართველოს ენერჯეტიკის სამინისტროს ინფორმაცია შპს „ენერჯი სოლუშენს-ნატანების“ მიერ, ინტერესთა გამსახატვის პირობების შესაბამისად, თავდაპირველად წარმოდგენილი წინასაშენებლო გარანტიის (37 500 აშშ დოლარი) იდენტური პირობების მქონე საბანკო გარანტიით ჩანაცვლების თაობაზე, მომსახურე ბანკის შეცვლის გამო.
3. ამ განკარგულების მეორე პუნქტის გათვალისწინებით, გაუქმდეს შპს „ენერჯი სოლუშენს-ნატანების“ მიერ თავდაპირველად წარმოდგენილი წინასაშენებლო გარანტია 37 500 აშშ დოლარის ოდენობით. ზემოაღნიშნული

საბანკო გარანტიის გაუქმების თაობაზე, გარანტიის გამცემ ბანკში წარხადგენ შესაბამის წერილზე, საქართველოს მთავრობის სახელით ხელმოწერის უფლებამოსილება მიენიჭოს საქართველოს ენერჯეტიკის მინისტრს, კახა კალაძეს.

4. „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 27-ე მუხლის შესაბამისად, ურთიერთგაგების მემორანდუმს საქართველოს მთავრობის სახელით ხელი მოაწეროს საქართველოს ენერჯეტიკის მინისტრმა კახა კალაძემ.

პრემიერ-მინისტრი

წ.



ირაკლი ღარიბაშვილი



**ამონაწერი მენარმეთა და არასამენარმეო
(არაკომერციული) იურიდიული პირების
რეესტრიდან**

განაცხადის რეგისტრაციის ნომერი, მომზადების თარიღი: B15082445, 15/04/2015 17:49:55

სუბიექტი

საფირმო სახელწოდება: შპს ენერჯი სოლუშენს-ნატანები

სამართლებრივი ფორმა: შებლუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

საიდენტიფიკაციო ნომერი: 405059626

რეგისტრაციის ნომერი, თარიღი: 22/08/2014

მარეგისტრირებელი ორგანო: სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

იურიდიული მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, ფალიაშვილის ქ., N 6, ბინა N41

დამატებითი ინფორმაცია:

ელ. ფოსტა: info@energysolutions.ge

დამატებითი ინფორმაციის ნამდვილობაზე პასუხისმგებელია ინფორმაციის მომწოდებელი პირი.

ინფორმაცია ლიკვიდაციის/ რეორგანიზაციის/ გადახდისუნარიობის პროცესის მიმდინარეობის შესახებ

რეგისტრირებული არ არის

ხელმძღვანელობა/წარმომადგენლობა

- დირექტორი - 01010000236, გიორგი აბრამიშვილი

პარტნიორები

მესაკუთრე	წილი	წილის მმართველი
405043616, შებლუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ენერჯი სოლუშენს	100.00000000%	

ვალდებულება

რეგისტრირებული არ არის

გირავნობა

რეგისტრირებული არ არის

ყადალა/აკრძალვა

რეგისტრირებული არ არის

საგადასახადო გირავნობა/იპოთეკის უფლება

რეგისტრირებული არ არის

მოძრავ ნივთებსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე გირავნობა/ლიზინგის უფლება

რეგისტრირებული არ არის

მოვალეთა რეესტრი

რეგისტრირებული არ არის

- დოკუმენტის ნამდვილობის გადამოწმება შესაძლებელია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო სოფიციალურ ვებ-გვერდზე www.napr.gov.ge;
- ამონაბეჭდის მიღება შესაძლებელია ვებ-გვერდზე www.napr.gov.ge , ნებისმიერ ტერიტორიულ სარეგისტრაციო სამსახურში, იუსტიციის სახლებსა და სააგენტოს ავტორიზებულ პირებთან;
- ამონაბეჭდის ტექნიკური ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში დაგვიკავშირდით: 2 405405 ან პირადად შეავსეთ განაცხადი ვებ-გვერდზე;
- კონსულტაციის მიღება შესაძლებელია იუსტიციის სახლის ცხელ ხაზზე 2 405405;
- საჯარო რეესტრის თანამშრომელთა მხრიდან უკანონო ქმედების შემთხვევაში დაგვიკავშირდით ცხელ ხაზზე: 08 009 009 09
- თქვენთვის საინტერესო ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით მოგვწერეთ ელ-ფოსტით: info@napr.gov.ge

2087



საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
MINISTRY OF JUSTICE OF GEORGIA



KA010145308787915

საქართველო, ქ. თბილისი, 0114, გორგასლის ქ. 24 ა. ტელ.: 2 40-51-48, 2 40-58-36; ელ-ფოსტა: info@justice.gov.ge
24 a, Gorgasali str., 0114, Tbilisi, Tel: 2 40-51-48, 2 40-58-36; E-MAIL: info@justice.gov.ge

№2598

01 / აპრილი / 2015 წ.

საქართველოს ენერჯეტიკის
მინისტრის მოადგილე,
ბატონ ირაკლი ხმაღამეს


ბატონო ირაკლი,

საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ განიხილა თქვენ შიერ 2015 წლის 27 აპრილის №04/1155 კორესპონდენციით წარმოდგენილი საქართველოს მთავრობასა და შპს „ენერჯი სოლუშენს-ნატანგს“ შორის დასადები ურთიერთგაგების მემორანდუმის პროექტი, რომელთან დაკავშირებითაც გაცნობებთ, რომ სამართლებრივი ხასიათის შენიშვნები არ გვაქვს.

შატივისცემით,

მინისტრის პირველი მოადგილე

ალექსანდრე ბარამიძე




საქართველოს მთავრობის განკარგულება

№2161 2014 წლის 3 დეკემბერი ქ.თბილისი
გურიის რეგიონში „ნატანები 2“ ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის
ტექნიკურ-ეკონომიკური შესწავლის, მშენებლობის, ფლობის და ოპერირების
შესახებ ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებულ პირის გამოვლენის შესახებ

1. საქართველოში ელექტროსადგურების მშენებლობის ტექნიკურ-
ეკონომიკური შესწავლის, მშენებლობის, ფლობის და ოპერირების შესახებ
ინტერესთა გამოხატვის წესის დამტკიცების შესახებ საქართველოს
მთავრობის 2013 წლის 21 აგვისტოს №214 დადგენილებით დამტკიცებული
წესის მე-6 მუხლის შესაბამისად, გურიის რეგიონში „ნატანები 2“
ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის ტექნიკურ-ეკონომიკური
შესწავლის, მშენებლობის, ფლობის და ოპერირების შესახებ ინტერესთა
გამოხატვაში გამარჯვებულად გამოვლინდეს შპს „ენერჯი სოლუმენს-
ნატანები“.

2. საქართველოს ენერჯეტიკის სამინისტრომ უზრუნველყოს
ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებულ პირთან გასაფორმებელი
ურთიერთგაგების მემორანდუმის პროექტის საქართველოს მთავრობის
სხდომაზე განსახილველად წარმოდგენა.

პრემიერ-მინისტრი



ირაკლი ღარიბაშვილი



ტელეკრედიტის შესრულების საბანკო გარანტია #PEB4362-15

თბილისი

30 აპრილი 2015 წელი

გარანტი: სს „საქართველოს ბანკი“ (შემდგომში „გარანტი“)
გარანტიის საიდენტიფიკაციო კოდი: 204378869
გარანტიის ბისპარტი: ვაჟა-ფშაველას ქ. #29ა, თბილისი, 0160, საქართველო
პრინციპალი: შპს ენერჯი ხელშეშენ-ნატანები (შემდგომში „პრინციპალი“)
პრინციპალის საიდენტიფიკაციო კოდი: 405055626
პრინციპალის მისამართი: საქართველო, ქ. თბილისის, ვაკე-საბურთალოს რაიონი, ფალიაშვილის ქ. N 6, ბინა 2641
ბენეფიციარი: საქართველოს მთავრობა წარმოდგენილი საქართველოს ენერჯეტის სამინისტროს სახით (შემდგომში „ბენეფიციარი“)
საგარანტიო თანხა: 37,500,000 (ოცდახუთმეტი ათას ხუთასი) აშშ დოლარი

შემდგომში ვიღებთ რა, რომ პრინციპალმა გულის რეგიონში „ნატანები 2“ პირობულექტროსადგურის მშენებლობის ტენდერ-კონკრეტული შესწავლის, მშენებლობის, ფლობის და ოპერირების მიზნით იკისრა ვალდებულება წარმოადგინოს საბანკო გარანტია მასზე დაკორპორირებული ვალდებულებების შესრულების გარანტიის სახით. ჩვენ, გარანტი, თანხმდებით ვართ გაცემთ პრინციპალის სახელზე აღნიშნული უპირობო და გამოუთხოვადი საბანკო გარანტია.

ამასთან დაკავშირებით, ვადასტურებთ, რომ ფართ გარანტები და პასუხისმგებლები თქვენს წინაშე პრინციპალის სახელით საერთო თანხაზე, არაუმეტეს ჯამზე 37,500 (ოცდახუთმეტი ათას ხუთასი) აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის ოდენობით, გადარიცხვის დღეს დადგენილი მოქმედი აშშ დოლარის ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად და გვისრულობთ ზემოთ აღნიშნულ თანხის გადახდას თქვენი პირველივე წერილობითი მოთხოვნის მიღებიდან 5 (ხუთი) საბანკო დღის ვადაში.

მოთხოვნა საგარანტიო თანხის ამხელაობაზე ბენეფიციარის მიერ წარმოდგენილი უნდა იქნეს სათანადოდ, ბენეფიციარის მხრიდან უფლებამოსილი პირის მიერ, ხელმოწერილი და ბუკვით დადასტურებული წერილობითი ფორმით, სადაც მითითებულ იქნება მოთხოვნილი თანხა ციფრითა და სიტყვით და მოთხოვნას თან უნდა ერთვოდეს საქართველოს მთავრობის ვადამდებულებების ასლი შესაბამისი წარმომადგენლობის უფლებამოსილების მიმდებარე დაკავშირებით და საბანკო გარანტიის ასლი.

წინამდებარე საბანკო გარანტია ავტომატურად მცირდება გარანტიის მიერ აღნიშნულ საბანკო გარანტიაზე ბენეფიციარის მოთხოვნის საფუძველზე გადახდილი თანხების პროპორციულად

წინამდებარე გარანტია ძალაშია 2015 წლის 30 აპრილიდან და მოქმედებს 2017 წლის 22 ივნისის ჩათვლით.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, საბანკო გარანტიაზე მოთხოვნა ან პრეტენზია წარმოდგენილ უნდა იქნეს საბანკო გარანტიის ვადის გასულამდე მისამართზე: სს „საქართველოს ბანკი“ (ს/კ: 204378869), სათაო ოფისი, ვაჟა-ფშაველას ქ. #29ა, თბილისი 0160, საქართველო, თბილისის დროით (UTC+GMT +04:00 hours) 17:00 საათამდე, კანცელარიის სამსახურში, ვაჭრობის დინამიკის დეპარტამენტის საერთადღებზე.

საბანკო გარანტია ავტომატურად უქმდება ქვემოაღნიშნული გარემოებებიდან ერთ-ერთის დადგომისთანავე:

- საბანკო გარანტიის ვადის გასვლით.
- გარანტიის მიერ ბენეფიციარისთვის იმ თანხის გადახდით, რომელზედაც გაივა საბანკო გარანტია.
- ბენეფიციარის მიერ გარანტიიდან გამომდინარე თავის უფლებებზე წერილობით უარის თქმისა და საბანკო გარანტიის ორიგინალის გარანტისათვის დაბრუნებისას.

გარანტიის მიხარო საბანკო გარანტიიდან გამომდინარე ბენეფიციარის კუთვნილი მოთხოვნის უფლების ვადაცენა/დათმონა ს/კ-ა პირისათვის დაუშვებელია გარანტიის წერილობითი თანხმობის გარეშე.

წინამდებარე საბანკო გარანტია რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.



ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორი
Electricity Market Operator

საქართველო, თბილისი, 0114, ბარათაშვილის ქ. 2
ტელეფონი: 2401420; ფაქსი: 2601915

2 Baratashvili Str., 0114 Tbilisi, Georgia
Phone: +995 32 2401420; Fax: +995 32 2601915

№ 01/339

1 04 2015წ.



თანხმობა ხელმოსაწერი
ურთიერთგაგების მემორანდუმის
პროექტზე

საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის
მოადგილეს ბატონ ირაკლი ხმალაძეს

ბატონო ირაკლი,

საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს 2015 წლის 27 მარტის #04/1156 წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ ბაზრის ოპერატორმა განიხილა საქართველოს მთავრობას, შპს „ენერჯი სოლუშენს-ნატანებსა“ და სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორს“ შორის დასადები ურთიერთგაგების მემორანდუმის პროექტი (ნატანები 2 ჰესი), რომელთან დაკავშირებითაც შენიშვნები არ გაგვაჩნია.

პატივისცემით,

გენერალური დირექტორი

ვ. ამბოკაძე